ხელშეკრულება №18/02/1

ქ. თბილისი 18 თებერვალი 2016 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი“, წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის **ნინო ნახუცრიშვილის** სახით (შემდგომ- „დამკვეთი”) და მეორე მხრივ ფიზიკური პირი, **ნოდარ ქუჯოშვილის** სახით (შემდგომ-„შემსრულებელი”), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით „შემსრულებელი” იღებს ვალდებულებას, დამკვეთის მიერ დაგეგმილი 22 თებერვლის ღონისძიებისთვის („საჩუქარი ქართველ მსმენელს„ რომელიც ეძღვნება კომპოზიტორ გია ყანჩელის 80 წლის იუბილეს) „დამკვეთს“ გაუწიოს მომსახურება გორის ბავშვთა გუნდის მუსიკოსების გადაადგილებით ამა წლის 19; 21 და 22 თებერვალს (გორი-თბილისი-გორი). შემდეგში სამუშაო (CPV-60100000) (დაფინანსების წყარო – საკუთარი სახსრები)

1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვით, საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მე-3 მუხლის I პუნქტის სl) ქვეპუნქტი –მონეტარული ზღვრების დაცვით.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. შემსრულებელი ვალდებულია:

2.1.1. იყოლიოს სატრანსპორტო საშუალება ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში;.

2.1.2. უზრუნველყოს გორის გუნდის მუსიკოსების უსაფრთხო გადაადგილება;

2.1.3. დაუყოვნებლივ აცნობოს „დამკვეთს“ სატრანსპორტო საშუალების გაუმართაობის შესახებ, თუ ეს უკანასკნელი საფრთხეს უქმნის „დამკვეთის“ ინტერესების განხორციელებას.

2.2. დამკვეთი ვალდებულია:

2.2.1. გადაუხადოს „შემსრულებელს“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება.

2.2.2. შესასრულებელი სამუშაოდან გამომდინარე უზრუნველყოს „შემსრულებელი” სათანადო პირობებით.

3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა **937.50 (ცხრაას ოცდაჩვიდმეტი ლარი და 50 თეთრი)** ლარი,
კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

3.2. საზღაური გადახდილ უნდა იქნას „სამუშაოს" დასრულებისას.

3.3. ანაზღაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4. ხელშეკრულების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2016 წლის 1 მაისამდე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. „დამკვეთი” უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება მის მიერ შექმნილი ჯგუფის მეშვეობით, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „დამკვეთის” მოთხოვნებთან.

5.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „დამკვეთი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „შემსრულებელს" დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

5.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „შემსრულებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ფორს-მაჟორი

6.1 ხელშეკრულების მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ეს გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომელიც სცილდება მხარეთა კონტროლს და რომლის მოქმედებაც არ არის დამოკიდებული ერთ-ერთი მხარის ნებაზე.

7. დავა

7.1. მხარეებს შორის დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

7.2. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლო წესით.

8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანასწორი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის.

8.2. ცვლილებები და დამატებები წინამდებარე ხელშეკრულებაში შესაძლებელიაშევიდეს წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების, ანდა მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას.

9. მხარეთა რეკვიზიტები:

„დამკვეთი"	„შემსრულებელი"
სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი"	ფ/პ ნოდარ ქუჯოშვილი
თბილისი, დ.აღმაშენებლის ქ.№127 საიდენტ. კოდი 205065196 მიმღები ბანკი-სახელმწიფო ხაზინა მიმღ. დას. -ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი TRESGE22 ა/ა 7 0808 7162 საკონტ. ტელ: 2 91 55 33	მის.: ქ. გორი, მარჯანიშვილის №9 პირ №59001008476 საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE17BG0000000394709800 საკონტ. ტელ: ----------
გენერალური მენეჯერი	დირექტორი
----------	----------
ნინო ნახუცრიშვილი	ნოდარ ქუჯოშვილი